პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი.
№ 210 (13295)

კვირა, 5 სექტემბერი, 1965 წ.

ფასი 2 კაპ.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა:

1965 წლის 1 ოქტომბერს ქალაქ მოსკოვში მოწვეულ იქნეს სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.
1965 წლის 3 სექტემბერი.

სოფელ ფასტრალოს კოლმეურნეობა „გამარჯვება" ერთ-ერთი მოწინავეა ბოლნისის რაიონში. აქ სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან ერთად ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ზამთრისათვის პირუტყვის საკვების დამზადება. წელს კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს გეგმით გათვალისწინებული 2 ათასი ტონის ნაცვლად 3 ათასი ტონა სილოსი დაამზადონ. აქტიურად მრომობენ მექანიზატორები და მეცხოველეები. უკვე დამზადებულია 1.200 ტონა სიმინდის მწვანე სასილოსე მასა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 18 წლის მექანიზატორმა იმამალ ყურბანალიევმა, რომელიც ყოველდღიურად ერთნაირვარ ნორმას ასრულებს.

სურათზე: სილოსის ჩაწყობა ტრანშეებში.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

დიდი პარტიული საქმე

ჩვენი ლენინური პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს იმ ხაზს, რომ ყოველი ღონისძიებით გაზარდოს სოციალისტური დემოკრატია, სახელმწიფოს მართვაში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში აქტიური მონაწილეობა მიაღებინოს ყველა მოქალაქეს. მრავალთაგან ერთ-ერთი მაგალითია, რომ საწარმოებში, მშენებლობებზე კოლმეურნეობებში, სამკოთა მეურნეობებში, სასწავლებლებში, დაწესებულებებში შეიქმნა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფები და საგუშაგოები, რომლებშიც დელეგირებულია ხუთ მილიონამდე მუშა, კოლმეურნე, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, მოსამსახურე.

ცნობილია, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი კონტროლის ორგანიზაციას, მუშურ-გლეხურ ინსპექციის საქმიანობის მოგვარებას. მას არაერთგზის დაუწერია და უთქვამს, რომ მუშურ-გლეხური ინსპექციაში უნდა გაკურდეს „მთელი მშრომელი მასა". რაკი უპარტიო მუშებსა და გლეხებს „უოველგვარი თანამდებობის გარეშე აუცილებლად მივაღებინოთ მონაწილეობა მუშაობის შემოწმებასა და შეფასებაში". სწორედ „ყოველგვარი თანამდებობის გარეშე კონტროლსა თუ შემოწმებაში მონაწილეობაც" შეადგენს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობის არსს. სახალხო კონტროლიორები საზოგადოებრივი წესით, ხელმძღვანელობენ რა სახელმწიფოს ინტერესებით, მონაწილეობენ შემოწმებებში, რეიდებში. რევიზიებში, ავლენენენ ნაკლოვანებებს და ხელს უწყობენ მათს სწრაფად აღმოფხვრას, ამხილებენ ბიუროკრატებს, თვალისმახვევებს, მოჩენენებითობის მოყვარულებს, სახალხო ფულათის დამტაცებლებს.

პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტების ხელმძღვანელობით ხელშემწყობი ჯგუფები და საგუშაგოები დიდ, სასარგებლო შუშაობას ეწევიან. ისინი ხდებიან მთელი საზოგადოებრივი კონტროლის გამაერთიანებელი და მაკორდინირებელი ცენტრები საწარმოებში, კოლმეურნეობებში, სამკოთა მეურნეობებში, სამკოთა მეურნეობებში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკურ სადგურებში, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, მოსამსახურე.

ცნობილია, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი კონტროლის ორგანიზაციას, მუშურ-გლეხურ ინსპექციის საქმიანობის მოგვარებას. მას არაერთგზის დაუწერია და უთქვამს, რომ მუშურ-გლეხურ ინსპექციაში უნდა გაკურდეს „მთელი მშრომელი მასა". რაკი უპარტიო მუშებსა და გლეხებს „ყოველგვარი თანამდებობის გარეშე აუცილებლად მივაღებინოთ მონაწილეობა მუშაობის შემოწმებასა და შეფასებაში". სწორედ „ყოველგვარი თანამდებობის გარეშე კონტროლსა თუ შემოწმებაში მონაწილეობაც" შეადგენს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობის არსს. სახალხო კონტროლიორები საზოგადოებრივი წესით, ხელმძღვანელობენ რა სახელმწიფოს ინტერესებით, მონაწილეობენ შემოწმებებში, რეიდებში. რევიზიებში, ავლენენენ ნაკლოვანებებს და ხელს უწყობენ მათს სწრაფად აღმოფხვრას, ამხილებენ ბიუროკრატებს, თვალისმახვევებს, მოჩენენებითობის მოყვარულებს, სახალხო ფულათის დამტაცებლებს.

პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტების ხელმძღვანელობით ხელშემწყობი ჯგუფები და საგუშაგოები დიდ, სასარგებლო შუშაობას ეწევიან. ისინი ხდებიან მთელი საზოგადოებრივი კონტროლის გამაერთიანებელი და მაკორდინირებელი ცენტრები საწარმოებში, კოლმეურნეობებში, სამკოთა მეურნეობებში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკურ სადგურებში, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, მოსამსახურე.

ამჟამად, იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშემწყობ ჯგუფებსა და საგუშაგოებს რწმუნებათა ორი წლის ვადა გასდით, ეწყობა მათში პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან წარმომადგენელთა დელეგირება, რომლებსაც ირჩევენ ამ ორგანიზაციათა კრებებზე ან კონფერენციებზე. აგრეთვე კოლმეურნეთა და სახლმმართველობების მცხოვრებთა კრებებზე. ეს შუშაობა ემთხვევა მორიგ საანგარიშო-საარჩევნო კრებებს პირველად პარტორგანიზაციებში. ამოცანა ის არის, რომ ხელშემწყობ ჯგუფებსა და საგუშაგოებში გაიგზავნონ ღირსეული, ავტორიტეტიანი ამხანაგები, რომლებსაც შეუძლიათ შეასრულონ სახალხო კონტროლიორის საპატიო და ძნელი მოვალეობა.

დელეგირების კრებები უკვე მოეწყო ბევრ საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში. ეს კრებები მეტწილად აქტიურად, საქმიანად მიმდინარეობს. ჯგუფების საინფორმაციო ცნობები დიდ ინტერესს იწვევს. სწორად იქცევიან პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც ის კარგი აიღეს, რომ უფრო ფართოდ ჩაებან მშრომელები სახალხო კონტროლიორთა რიგებში. საწარმოთა ბევრ საამქროში, სამკოთა მეურნეობებს განსაოფილებებში, საკოლმეურნეო ბრიგადებში დღემდე არ ყოფილა ხელშემწყობი ჯგუფები, ამჟამად ისინი იქმნება. მოსკოვის ქარხანა „სერპ ი მოლოტში", მაგალითად, სახალხო კონტროლიორთა რიცხვი საამქროთა ხელშემწყობ ჯგუფებსა და საგუშაგოებში ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის მუშაობის ბაზის გაფართოება უზრუნველყოფს მისი ქმედითობის, შედეგიანობის ამაღლებას.

მეტ წილ საწარმოებში, კოლმეურნეობებში, სამკოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, სადაც გაიმართა საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრებები და ჩამოყალიბდა ხელმძღვანელი ორგანოები, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფების თავმჯდომარეებად მუშაობენ პარტიბიუროების, პარტკომების მდივნების მოადგილეები კონტროლის დარგში. სავსებით გასაგებია, რომ ის ხელშემწყობი ჯგუფი, რომელსაც პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილე მეთაურობს, უფრო წარმატებით შეასრულებს როგორც პირდაპირ მოვალეობებს, ისევე მაორგანიზებელი ცენტრის როლს, რომლის გარშემო გაერთიანებულია მთელი საზოგადოებრივი კონტროლი.

ჯგუფებსა და საგუშაგოებში დელეგირების საქმეში არსებითი ნაკლოვანებებიც არის. ზოგიერთმა პარტორგანიზაციამ ეს შუშაობა თვითდინებაზე მიუშვა. მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკისა და სხვა ქალაქების ცალკეულ საწარმოებში დელეგირების პერიოდი ძალიან გაჭიანურდა. პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების კრებები ჯგუფებსა და საგუშაგოებში დელეგირების საკითხზე იმართება პირველად პარტიული ორგანიზაციის კრებების მოწყობიდან დიდი დროის გასვლის შემდეგ.

უყველა ამ ნაკლის გამოსწორების სრული შესაძლებლობა აქვთ პარტორგანიზაციებს საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში. უყველაზე მთავარია თავიდან ავიცილოთ ფორმალიზმი, ავამაღლოთ სახალხო კონტროლიორთა აქტივობა, დავრაზმოთ ისინი საბრძოლო საქმიანობისათვის. ეს იმას, ნიშნავს, რომ კონტროლი გავუწიოთ სამრეწველო ნაკეთობათა ხარისხის გაუმჯობესების, კაპიტალური მშენებლობის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განუხრელი გადიდების, ეკონომიისა და მომჭირნეობის და, განსაკუთრებით, სათბობის ეკონომიის დავალებათა შესრულებას. ეს იმას ნიშნავს, რომ დავამთავროთ სახოფლო-სამეურნეო სამუშაოები მინდვრებში, დავამზადოთ საკვები პირუტყვისათვის, ავაშენოთ მეცხოველეობის სათავსები. ეს იმას ნიშნავს, რომ გავაუმჯობესოთ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, გავაუმჯობესოთ ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა შუშაობა. შეექმნათ თვითეული ქალაქში კარტოფილის, ბოსტნეულის საკირო მარაგი, მოვამზადოთ ბინები ზამთრისათვის.

სახალხო კონტროლიორები ავლენენენ ნაკლოვანებებს, ამხილებენ ბოროტკმედებას. კარგი სამეურნეო ხელმძღვანელი, ნამდვილი პარტიული ადამიანი შუდამ დაუჭერს მხარს მთა მისწრაფებას — უფრო ღრმად ჩასწვდნენ საქმის არსს, გამოხახონ გამოუყენებელი რეზერვები, გამოარკვიონ, თუ ვის მოუძღვის კონკრეტულად ბრალი დაუდევრობასა და შეცდომებში. ასეთ სამეურნეო მუშაკს მართებულად მიაჩნია, რომ აქტიური, პრინციპული სახალხო კონტროლი დიდად ზრდის მის შესაძლებლობებს უკეთ უხელმძღვანელოს საწარმოს, უფრო სრულად გამოიყენოს ერთგამგებლის უფლებები. მაგრამ გვხვდებიან სხვანაირი ხელმძღვანელებიც. ბაკოს ტკავეულის ფირმის პარტიულ-სახელმწყობო კონტროლის ხელშემწყობმა ჯგუფმა გაიღაშქრა დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების, სახალხო დოვლათის განიავების, წამებულებათა წინააღმდეგ. ფირმის დირექტორმა გ. ზეინალოვმა და მთავარმა ინჟინერმა ი. კამბაროვმა არათუ მხარი არ დაუჭირეს სახალხო კონტროლიორებს, არამედ ამხედრდნენ მათ წინააღმდეგ. დაადგინენ კრიტიკის ჩახშობის გზას. ბაკოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა მკაცრად დასაჯა კრიტიკის ჩამხშობნი.

რამდენიმე თვის წინათ ლენინგრადის № 2 ავეჯის კომბინატის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობმა ჯგუფმა გამოავლინა თვალისახვევისა და ანგარიშგების წამებების ფაქტები. საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებაზე ადმინისტრაციის ზოგიერთი მუშაკი შეეცადა ჩირქი მოეცხო ჯგუფისა და მისი ხელმძღვანელის, პატიოსანი, პრინციპული კომუნისტის ამხ. ეფიმოვის მუშაობისათვის. სკკპ მოსკოვის რაიკომმა ეს ფაქტი კრიტიკის ჩახშობის ცდად მიიჩნია. რაიკომის გადაწყვეტილებით პარტიული კრება ხელახლა გაიმართა, და ამჯერად კომუნისტებმა სწორად შეაფასეს ხელშემწყობი ჯგუფის მუშაობა, კვლავ აირჩიეს ამხ. ეფიმოვი მის შემადგენლობაში.

არის შემთხვევები, როცა სახალხო კონტროლიორებს საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ხსნიდნენ სამუშაოდან, აქვეითებდნენ, აზარალებდნენ მატერიალურად, როცა ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების წინადადებებსა და რეკომენდაციებს უგულებელყოფდნენ, ჩქმალავდნენ, უეცარადღებოდ ტოვებდნენ. პარტიულ ორგანიზაციათა მოვალეობაა აღკვეთონ ყოველგვარი ცდა იმისა, რომ დევნიდნენ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის აქტივისტებს და ანგარიშს უწყორეგდნენ მათ საზოგადოებრივი საქმიანობისათვის. აუმაღლონ საწარმოთა, კოლმეურნეობათა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების კასუხისმგებლობა იმ საკითხების გადაწყვეტისათვის, რომლებიც დაკავშირებულია ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების მიერ მხილებული ნაკლოვანებების აღმოფხვრასთან.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების ხელმძღვანელობა პარტორგანიზაციათა შუშაობის დიდმნიშვნელოვანი და აუცილებელი ნაწილია. მათი მოვალეობაა უფრო სრულად გამოიყენონ ეს დიდი საზოგადოებრივი ძალა, რათა უკეთ გაეწიოს კონტროლი პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებას.



სურათზე: ბაკო. „ნავთობის ქვების" ერთ-ერთი ესტაკადა.

ფოტო თ. შევცოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ზროვითი პატაკი

ოჩამჩირის რაიონის მეაბრეშუმეებმა 3 სექტემბრისათვის შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა. დამზადებულია 720 ცენტნერი აბრეშუმის პარკი. გეგმა შესრულდა 100 პროცენტით. პარკის დამზადება გრძელდება. ამ წარმატების შესახებ რედაქციას დეპეშით აცნობეს პარტიის ოჩამჩირის რაიკომის მდივანმა ამირბაბამ, რაიხალბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ფირდიამ და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბაბაკაშმ.

ბარდანის რაიონის ახალი სამგორის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 8.148 ცენტნერი რძე ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 8.070 ცენტნერისა. **მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით მიჰყიდოს სახელმწიფოს 1.500 ცენტნერი რძე,** — აცნობეს რედაქციას მეურნეობის დირექტორმა **შ. სიბაშვილმა** და პარტიული კომიტეტის მდივანმა **მ. მამედოვმა.**

დროშა—გამარჯვებულ კოლექტივს

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა სახელმწიფო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკთა მორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი ფეთელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიანიჭა „საქმეტყესაშენვაჭრობის" მუშაკთა კოლექტივს.

ეს წარმატება „საქმეტყესაშენვაჭრობის" მშრომელებმა მოიპოვეს თავდადებული შრომით, წარმოებაში სიახლეთა დანერგვის გზით. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის მეორე კვარტალში გაიხსნა ახალი სპეციალიზებული მაღაზია „სანტექნიკა", რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სავაჭრო ტექნიკით. აქ ბითვისეს და დანერგეს ვაჭრობის ახალი პროგრესული ფორმები.

სავაჭრო ორგანიზაციამ მეორე კვარტალის საქონელბრუნვის გეგმა 110,5 პროცენტით შეასრულა, დაგროვებისა კი 136,03 პროცენტით. გადაჭარბებით არის აგრეთვე შესრულებული საქონელბრუნვის ნახევარი წლის დაგალება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული „საქმეტყესაშენვაჭრობის" კოლექტივისათვის დროშის გადაცემას მიეძღვნა გუშინ სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის კულტურის სახლში გამართული საზეიმო კრება, რომელიც გახსნა „საქმეტყესაშენვაჭრობის" გაერთიანებული პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ბეჟიტაშვილმა. საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ე. ჩოფიკაშვილმა წარმატება მიულოცა დაჯილდოებულთ და გარდამავალი წითელი დროშა გადასცა „საქმეტყესაშენვაჭრობის" მმართველს ი. ძერძისაშვილს.

დაჯილდოებული კოლექტივის მუშაკთა სახელით დამწერე საზოგადოებას მადლობა გადუხადეს „საქმეტყესაშენვაჭრობის" სოხუმის ბაზის დირექტორმა ბ. შენგელაიამ, თბილისის № 1 ბაზის მაღაზიის გამგემ მ. წიქორიმემ, გორის ბაზის დირექტორმა გ. ხუბულურმა. დასასრულ საკავშირო-საფინანსო განყოფილების უფროსმა ლ. ბათაშვილმა კრებას წაუკითხა მმართველის ბრძანება, სადაც აღნიშნულ არიან კოლექტივის მოწინავე ადამიანები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ზეგეგმიური პროდუქცია

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათსამშენებლო მრეწველობის თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხნის კოლექტივმა, რომელიც შვიდწლედის უკანასკნელი წლის დავალებათა გასანაღდებლად იბრძვის, რვა თვის საწარმოო გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

სოხუმი. (საკ. კორ.). გაიმართა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა დაამტკიცა ამხ. **მ. თ. ბღაჟბას** თხოვნა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ სამეცნიერო სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ამხ. **ვ. ო. კობახია.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **დ. გ. სტურუამ.**

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მედლით „წყალწყალეგულთა გადარჩენისათვის" დაჯილდოების შესახებ

წყალწყალეგულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდეს მედალი ანარქი ივანე ნიკოლოზის-ძე ბაიაშვილი მედლით „წყალწყალეგულთა გადარჩენისათვის".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ქოჩლინიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე

თბილისი,
1965 წლის 28 აგვისტო.

მეგობრული ვიზიტი

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ნ. ჩაუშესკუს მეთაურობით 4 სექტემბერს ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს.

ვიზიტის დროს გაიმართა საუბარი, რომელმაც ძმურ, გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

იმავე დღეს მოძმე რუმინეთის სტუმრები კრემლში ეწვივნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ა. ნ. კოსიგინს.

გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი.

4 სექტემბერს რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაცია კრემლში ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ა. ი. მიკოიანს.

ვიზიტის დროს, რომელმაც გულთბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა, გაიმართა მეგობრული საუბარი. (საკდესი).

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

მოსკოვი, 4 სექტემბერი. (საკდესი). დღეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში გამართეს საუზმე რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად, რომელსაც მეთაურობს რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ნიკოლაე ჩაუშესკუ.

საუზმეზე იყვნენ პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები და რუმინეთის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები.

სამკოთა კავშირის მხრივ იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, ა. ნ. შელეპინი, გ. ა. ბეკავინაძე, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. ანდროპოვი, ა. პ. რუდაკოვი და სხვები.

საუზმეზე, რომელმაც გულთბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა, ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ნიკოლაე ჩაუშესკუმ წარმოთქვეს მეგობრული სადღეგრძელოები. (საკდესი).

დელეგაცია იყო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში

მოსკოვი, 4 სექტემბერი. (საკდესი). რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ნიკოლაე ჩაუშესკუს მეთაურობით დღეს იყო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში და გვირგვინით შეამკო იგი. გვირგვინის ლენტებზე წარწერილია: „რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციისაგან".

საზეიმო სხდომა თბილისში

4 სექტემბერს თბილისში გაიმართა ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

კრების პრეზიდიუმში არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. ი. ფრუნძე, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე შ. ა. დოლიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. ლაბახუა, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ნ. გ. გომელაური, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. კ. მელაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივნები ი. ა. შევარდნაძე, ე. ა. სალუქვაძე, რესპუბლიკის ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოთა ხელმძღვანელები და მოწინავე მუშები, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომა გახსნა ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე გ. პოლოლიკაშვილმა.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ს. შარაძენიძემ. მან ილაპარაკა მენავთობეთა, რესპუბლიკის გაზის მრეწველობის მუშაკთა მიღწევებზე.

სხდომის მონაწილეებს მიესალმნენ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. ბუხრაშვილი, ამიერკავკასიის მაგისტრალური გაზსადენების სამმართველოს საწარმოო განყოფილების უფროსი ვ. ფეოდოროვი, „საქნავთობის" ტარიბანის უბნის მბურღავი გ. ხარაზიშვილი.

კრებაზე წაიკითხეს საქართველოს პროფსაბჭოს გადაწყვეტილება ნავთობისა და გაზის მრეწველობის მოწინავე მუშაკების საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ. (საქდესი).

სოფია, 4 სექტემბერი. (საკდესი). სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გიორგი ტრაიკოვმა გუშინ მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე, იუწყება ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო. გ. ს. ძოწენიძე სტუმრად ჩარის ბულგარეთში როგორც კორპატ-ბულგანეთის გეოლოგიური ასოციაციის VII kრების დელეგატი.

შეხვედრამ გელითად, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

შეხვედრა სოფიაში

სურათზე: ბაკო. „ნავთობის ქვების" ერთ-ერთი ესტაკადა.

ფოტო თ. შევცოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

არის ქართული ნავთობი

ბანსაკუთრებული კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ საქართველოს მენავთობეები, ისევე როგორც ჩვენი დიდი ნავთობის სახელმწიფოს სხვა მენავთობეები და გაზის მრეწველობის მუშაკები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 აგვისტოს ბრძანებულებას „ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო დღის" ყოველწლიური დღესასწაულის დაწესების შესახებ.

მთავრობის უმაღლესი ორგანული ეს აქტი მენავთობეებს მიანიჭა მათი შრომის უმაღლეს შეფასებად, პარტიისა და ხელისუფლების მხრივ მათდამი მზრუნველობის მკაფიო გამოხატულებად და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაში შემდგომ წარმატებათა მოპოვებისათვის დიდ წახალისებად.

ნავთობი და გაზი, როგორც ცნობილია, ყველაზე მაღალეკონომიური სახეობის საწვავად არის მიჩნეული. საბჭოთა მენავთობეებისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა პატრიოტულ შრომითს თავდადებას უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ გასულ 1964 წელს საბჭოთა კავშირში მოპოვებულ იქნა 224 მილიონი ტონა ნავთობი და 110 მილიარდი კუბმეტრი გაზი, რითაც ნავთობის და გაზის მრეწველობაში ზრდის ტემპის მიხედვით ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში პირველ ადგილზე გამოვიდა.

საყურადღებოა, რომ ნავთობის მოპოვების თვითღირებულება ექვსჯერ ნაკლებია, ხოლო გაზისა 30-ჯერ ნაკლები, ვიდრე ქვანახშირის თვითღირებულება. ამასთან ნავთობის მოპოვებაში ყოველი მუშის შრომის ნაყოფიერება საშუალოდ 9-ჯერ უფრო მაღალია, ხოლო გაზის მოპოვებაში 34-ჯერ მაღალი, ვიდრე ქვანახშირის მოპოვებაზე მოძუშავეთა შრომის ნაყოფიერება. აქიტომ არის, რომ ნავთობისა და გაზის ხვედრითი წონა ჩვენი ქვეყნის საწვავის ბალანსში თანდათან იზრდება. მაგალითად, 1953 წელს საწვავის საერთო ბალანსში ნავთობისა და გაზის ხვედრითი წონა 22 პროცენტს აღწევდა, ხოლო 1965 წლისათვის იგი უკვე 58 პროცენტამდე გაიზარდა. 1970 წლისათვის წინასწარი ვარაუდით ეს მაჩვენებელი 70 პროცენტს მიაღწევს. ამ დროისათვის ნავთობის მოპოვება გაიზრდება ასეულ მილიონ ტონამდე, გაზისა — ასეულ მილიარდ კუბმეტრამდე. რა მოგვცა ნავთობისა და გაზის მოპოვების ზრდამ? თუ კინმე დაინტერესდება, შეიძლება ვუპასუხოთ, რომ ამ ზრდამ მარტო მიიდინარე შვიდწლედის განმავლობაში ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობას დაახლოებით 18 მილიარდი მანეთი ეკონომია მისცა.

სსრ კავშირს ნავთობშემცველი სამადონების უამრავი გაზი, რითაც ნავთობის და გაზის მრეწველობაში ზრდის ტემპის მიხედვით ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში პირველ ადგილზე გამოვიდა.

საყურადღებოა, რომ ნავთობის მოპოვების თვითღირებულება ექვსჯერ ნაკლებია, ხოლო გაზისა 30-ჯერ ნაკლები, ვიდრე ქვანახშირის თვითღირებულება. ამასთან ნავთობის მოპოვებაში ყოველი მუშის შრომის ნაყოფიერება საშუალოდ 9-ჯერ უფრო მაღალია, ხოლო გაზის მოპოვებაში 34-ჯერ მაღალი, ვიდრე ქვანახშირის მოპოვებაზე მოძუშავეთა შრომის ნაყოფიერება. აქიტომ არის, რომ ნავთობისა და გაზის ხვედრითი წონა ჩვენი ქვეყნის საწვავის ბალანსში თანდათან იზრდება. მაგალითად, 1953 წელს საწვავის საერთო ბალანსში ნავთობისა და გაზის ხვედრითი წონა 22 პროცენტს აღწევდა, ხოლო 1965 წლისათვის იგი უკვე 58 პროცენტამდე გაიზარდა. 1970 წლისათვის წინასწარი ვარაუდით ეს მაჩვენებელი 70 პროცენტს მიაღწევს. ამ დროისათვის ნავთობის მოპოვება გაიზრდება ასეულ მილიონ ტონამდე, გაზისა — ასეულ მილიარდ კუბმეტრამდე. რა მოგვცა ნავთობისა და გაზის მოპოვების ზრდამ? თუ კინმე დაინტერესდება, შეიძლება ვუპასუხოთ, რომ ამ ზრდამ მარტო მიიდინარე შვიდწლედის განმავლობაში ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობას დაახლოებით 18 მილიარდი მანეთი ეკონომია მისცა.

საბჭოთა მენავთობეები და გაზის მრეწველობის მუშაკები დიდი აღმავლობით, ნამდვილი პატრიოტული გატაცებით იბრძვიან შვიდწლედის ვადამდე შესასრულებლად. თურქმენეთის მენავთობეებმა მოპოვების შვიდწლიანი გეგმა 11 მარტისათვის შეასრულეს, თათრეთის მენავთობეებმა კი 19 ივნისისათვის.

სასიხარულოდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ შვიდწლედის ადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს საქართველოს მენავთობეებმაც. მათ „ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა ს

საერთაშორისო ცხოვრება

ძეური სოლიდარობა

პრაღა, 4 სექტემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის ხალხი და მისი მთავრობა სავსებით უჭერენ მხარს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დასაბუთებულ წინადადებებს ვიეტნამში სამხედრო კრიზისის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ, განაცხადა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარემ ბ. ლაშტოვიჩკამ. მან თქვა, „რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად სრულ სოლიდარობას უცხადებს გმირ ვიეტნამელ ხალხს ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში და კვლავაც გაუწევს საჭირო დახმარებასა და მხარდაჭერას.

გუშინ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე პრაღაში ბ. ლაშტოვიჩკამ მკაცრად დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება ვიეტნამში. ამერიკის პოლიტიკის ახლანდელი კურსი, თქვა მან, საფრთხეს უქმნის ყველა ხალხს, რომლებიც ცდილობენ თავისი შეხედულებისაებრ გადაწყვიტონ თავიანთი ბედი. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინადადებები და სამხრეთ ვიეტნამის უანთავისუფლების ეროვნული ფრონტის პოზიცია გონივრული საფუძველია ვიეტნამის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისათვის, ამ კრებაზე სტყვა წარმოთქვა აგრეთვე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა ჩეხოსლოვაკიაში ფამ ვან შუმ. მან ილაპარაკა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარების 20 წლიან გზაზე, იმაზე, თუ რა გმირულად იბრძვის ვიეტნამელი ხალხი ამერიკელი აგრესორების წინააღმდეგ.

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადება

პარიზი, 4 სექტემბერი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიურომ გამოქვეყნა განცხადება პრეზიდენტის არჩევნების შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ პოლიტბიურომ განიხილა პოლიტიკური ვითარება, რომელიც შეიქმნა პარლამენტის არდადეგების დამთავრების მომენტისათვის.

„პოლიტბიუროს მიაჩნია, — ნათქვამია განცხადებაში, — რომ ახლა, როცა 3 თვეზე ნაკლები დარჩა არჩევნებამდე, პრეზიდენტის არჩევნებისათვის მომზადებაში დადგა შესაფერისი მომენტი იმისათვის, რომ მემარცხენე პარტიებმა და დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა ზუსტად განსაზღვრონ თავიანთი პოზიცია და ნათელი პერსპექტივა დაუსახონ რესპუბლიკელთა მასებს, რომლებიც პირადი ხელისუფლების წინააღმდეგი არიან და ნამდვილ დემოკრატიას მოითხოვენ“.

„პოლიტბიურო კვლავ აღნიშნავს, — ნათქვამია განცხადებაში, რომ კომუნისტური პარტიის ახრით, იმისათვის, რომ მოისპოს პირადი ხელისუფლება და გზა გაეკაფოს ნამდვილ დემოკრატიას, ერთადერთი საშუალებაა, რომ პროგრამამინიმუმის თუ საერთო პლატფორმის საფუძველზე შეკავშირებულმა ყველა მემარცხენე პარტიამ და დემოკრატიულმა ორგანიზაციამ დაასახელოს თავისი კანდიდატი.

პოლიტბიუროს მხურვალე სურვილია, რომ ეს გადაწყვეტილება უახლოეს დღეებში მოიწონოს ყველა დაინტერესებულმა პარტიამ.

კაამანიო გადადგა

ნიუ-იორკი, 4 სექტემბერი. (საკდესი). როგორც უცნობეთის საინფორმაციო საგენტოები ინფორმაციას ამბობენ, საგენტოებიდან, ფ. კაამანიოს მთავრობა გადადგა, რათა ხელისუფლებას სათავეში ჩადგომოდა დომინგოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობა. დროებითი მთავრობა ექტორ გარსია გოდოის მეთაურობით გუშინ შეუდგა მოვალეობის შესრულებას.

კაამანიომ გამოაცხადა, რომ გადადგა მისი მთავრობა და მოუწოდა დომინგოელ ხალხს „განაგრძოს ბრძოლა, სანამ უკანასკნელი უცხოელი ჯარისკაცი არ დატოვებს დომინგოს ტერიტორიას“.

საბჭოთა სპეციალისტები ირანში

თეირანი, 4 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ თეირანში ჩამოვიდა საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. ა. კულეკი.

მდგომარეობა ქაშმირში

ლონდონი, 3 სექტემბერი. (საკდესი). როგორც დელიდან და კარაჩიდან მიღებული ცნობებიდან ჩანს, მდგომარეობა ქაშმირში სულ უფრო მწვავდება. შეიარაღებულ შეტაკებებში, რომლებიც ამ რაიონში ხდება, მონაწილეობენ ინდოეთისა და პაკისტანის რეგულარული ჯარები, ავიაცია და ტანკები.

აგვისტოში ქაშმირის ინდოეთის ნაწილის ტერიტორიაზე სასტიკი ბრძოლები წარმოებდა ერთი მხრივ ინდოეთის პოლიციის ძალებსა და ჯარებს და მეორე მხრივ „ცეცხლის შეწყვეტის ხაზის დამრღვევთა“ შორის, რომლებიც, როგორც დელიდან იუწყებიან, ინდოეთის ტერიტორიაზე იჭრებოდნენ „თავისუფალი ქაშმირის“ მხრიდან. პაკისტანის მთავრობის ქაშმირის საქმეთა მინისტრმა კი 20 აგვისტოს ლაჰორში განაცხადა, რომ არც ერთ პაკისტანელს და „თავისუფალი ქაშმირის“ არც ერთ მცხოვრებს ფეხი არ შეუდგამს ქაშმირის ინდოეთის ნაწილის ტერიტორიაზე „განმათავისუფლებელ მოძრაობაში“ მონაწილეობის მისაღებადო.

25 აგვისტოს ინდოეთის ჯარებმა რამდენიმე ადგილას გადალახეს ცეცხლის შეწყვეტის ხაზი და ხელი იგდეს ორი საგუშაგო თავისუფალი ქაშმირის ტერიტორიაზე ტიტხვალის სექტორში. ინდოეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ დ. რაჯუმ, რომელმაც ეს განაცხადა, ხაზგასმით აღნიშნა, ამ ღონისძიების მიზანია „ინდოეთის ტერიტორიაზე პაკისტანელთა შემდგომი შემოჭრის“ თავიდან აცილებაო.

1 სექტემბერს „ასოშიეიტედ პრეს ოფ პაკისტანის“ საგენტომ გადმოსცა ცნობა, რომ პაკისტანის არმიამ თავის მხრივ გადაჭრა ცეცხლის შეწყვეტის ხაზი ბჰიმბადან. პაკისტანის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პაკისტანის ამ ღონისძიებათა მიზანია ხელი შეუშალონ ინდოეთის ჯარების შემდგომ წინსვლას „თავისუფალი ქაშმირის“ ტერიტორიაზე.

ორივე მხარე იყენებს ავიაციას, ტანკებსა და არტილერიას, რაც მოწმობს, რომ ქაშმირში სერიოზული ვითარება შეიქმნა.

გოლი მოგზაურობს

პარიზი, 4 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ჯ. ბოლი რომსა და ბონში მოგზაურობის შემდეგ კვლავ პარიზს ჩამოვიდა. 6 სექტემბერს იგი შეხვდება საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს.

ჯ. ბოლი და ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრი ფაულერი მოლაპარაკებას აწარმოებენ საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეებთან საფინანსო და საავალუტო პრობლემებზე.

კრიზისი გრძელდება

ათენი, 4 სექტემბერი. (საკდესი). მეფის სასახლეში პოლიტიკური პარტიების ლიდერებისა და ყოფილი პრემიერ-მინისტრების ორი დღის თათბირის შემდეგ დაისახა პოლიტიკური კრიზისის დაძლევის ორი გზა: ან უნდა მოეწყოს საყოველთაო არჩევნები ან შეიქმნას თანხმშრომლობის მთავრობა. ათენის პოლიტიკური წრეები დიდ ყურადღებას უთმობენ ეროვნულ რადიკალთა კავშირის მემარჯვენე პარტიის ლიდერის კანელოპულოსის განცხადებას, რომ ეროვნულ რადიკალთა კავშირი პრინციპულად თანახმაა არჩევნები მოეწყოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვადებში.

კრიზისის თავიდან აცილების ერთი გზის ამორჩევაში ინიციატივა უნდა გამოიჩინოს მეფემ. სამეფო სასახლის სხდომამ დაადასტურა, სახელმწიფოს მეთაურის განზრახვა აირჩიოს ფართო თანამშრომლობის თავრობის შექმნის გზა, მაგრამ, საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ გამოცხადებულა.

დღეს მეფე კონსტანტინე კონსულტაციის მიზნით მიიღებს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს ცირიმოკოსს.

როგორც გაზეთი „ეიმა“ იუწყება, ახალი მთავრობის შექმნის მანდატი აღებთ, გადაეცემა ყოფილ ეიეე-პრემიერს სტეფანოპულოსს, რომელსაც არაოფიციალურად დავალა შესაბამისი ზონდაჟის მოწყობა.

მეგობროობისა და თანამშრომლობისათვის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა ოქმი, რომ გაგრძელდეს სსრ კავშირისა და ავღანეთის სამეფოს ნეიტრალიტეტისა და ურთიერთ თავდაუსხმელობის 1931 წლის 24 ივნისის ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ოქმის ხელმოწერა მოხდა მოსკოვში 1965 წლის 6 აგვისტოს. ეს გადაწყვეტილება ერთსულოვნად მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელიც 3 სექტემბერს გაიმართა კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ი. მიქოიანის თავმჯდომარეობით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით სხდომაზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, რომელმაც დაახასიათა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ნეიტრალიტეტისა და ურთიერთთავდაუსხმელობის ხელშეკრულების მნიშვნელობა.

ჩვენი და ავღანეთის მეგობრულ ურთიერთობას საფუძველი ჩაეყარა ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პირველ წლებშივე ვ. ი. ლენინის უშუალო მონაწილეობით. დღესაც საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობა ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ დარგში „ჯანსაღია“. მას ახასიათებს ურთიერთნდობა და პატივისცემა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების დავალებით სიტყვა წარმოთქვა კავშირის საბჭოს კომისიის წევრმა დეპუტატმა ი. ვ. ანდროპოვმა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორივე პალატის კომისიების წევრებმა, განაცხადა მან, ერთხმად [illegible] ავღანეთის [illegible] ურთიერთობის [illegible] ავღანეთის [illegible] ინდოეთის [illegible] ინდოეთის [illegible] ინდო

ვაჟიანი ცხოვრება

ვაჟა პარტიული კრებიდან გახარებული და თანაც აღელვებული გამოვიდა. ხუმრობა ხომ არ არის, მას აგროქიმიის შემსწავლელი წრის ხელმძღვანელობა მიანდეს. აი სულ ცოტა ხანია, რაც პარტიის რიგებში წევრად მიიღეს და ეს მისი პირველი პარტიული დავალებაა. აკი თვითონაც მისცა სიტყვა ჯერ რაიკომის ბიუროს და შემდეგ კი კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის კრებას — დავალება პირნათლად შეასრულებო. დახმარებაც აღუთქვეს, მაგრამ მაინც ღელავს. გაახსენდა, კრებაზე ბიუროს წევრები რომ ამბობდნენ მასზე: ენერგიული, შრომისმოყვარე ახალგაზრდაა, მაგისი იმედი გვაქვსო. ნდობა გამოუცხადეს და ნდობას ხომ გამართლება უნდოდა!

ვაჟა ზანგურაშვილმა 1963 წელს დაამთავრა დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. მალე მუყაითი შრომით თავი ისახელა. იმავე წელს კოლმეურნეობის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის კომიტეტის მდივნად აირჩიეს. ორგანიზაციაში, რომელსაც იგი დღესაც უნარიანად უძღვება, მაღალ დონეზე დგას შინაკომკავშირული მუშაობა.

იოთოის ახალგაზრდობის დიდი ნაწილი გაურბოდა საკოლმეურნეო შრომას. ამ ახალგაზრდების შრომაში ჩასაბმელად ბევრი იღონეს კომკავშირის კომიტეტმა და მისმა მდივანმა. თითქმის ყველა მათგანს საზოგადოებრივი დავალებები მისცეს. ისინი თანდათან შეეჩვივნენ მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას. ახლა სოფლის ახალგაზრდებს უფრო მეტად აღელვებთ თავიანთი სოფლის, კოლმეურნეობის ბედი. თვით ვაჟა ხომ ახალგაზრდებს პირადი შრომის კარგ მაგალითს აძლევს. მას მოსავლისად მიჩენილი აქვს 0,3 ჰექტარი სიმინდის, 0,05 ჰექტარი კარტოფილის ნათესი ფართობები და 0,02 ჰექტარი ხეხილის ბაღი. გადაწყვეტილი აქვს ჰექტარზე გადაანგარიშებით საშუალოდ მიიღოს 105 ცენტნერი კარტოფილი, 35 ცენტნერი სიმინდი და 60 ცენტნერი ხილი. გამრჯე ჰყავს, როგორც ყოველთვის, პირობას ახლაც წარმატებით ასრულებს.

ვაჟას შემყურე თანასოფლელები იტყვიან ხოლმე: „კვიცი გვარზე ხტისო". ვაჟას მამა ადიკო ზანგურაშვილიც აგროტექნიკოსი იყო. მისი გაშენებულია კოლმეურნეობის 17 ჰექტარი ბაღი და 6 ჰექტარი ვენახი. სოფელში ყველას უყვარდა ადიკო ზანგურაშვილი, მუდამ საქმიანი და ხალისიანი კაცი, შემდეგ დიდ სამამულო ომში გამარჯვებას რომ შესწირა სიცოცხლე.

სამი ძმა ჰყავს ვაჟას და მამისეული მუყაითობით სამივემ მონახა თავისი გზა ცხოვრებაში.

შრომასთან ერთად შორს, უფრო წინ იხედება ვაჟა. სურს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დაუსწრებელ განყოფილებაზე განაგრძოს სწავლა. გამრჯე, ენერგიული ადამიანისთვის ხომ მიუღწეველი არაფერია!

თავისი სახლისაკენ მიმავალ აღმართს შეუყვა. დროდადრო თავს ასწევდა და გამვლელ-გამომვლელთ ესალმებოდა. როგორ უნდოდა შეეჩერებინთ და ეკითხათ—საიდან მოდიხარო. ისეთი ხასიათზე იყო, შეჩერდებოდა და ეტყოდა ყველას, ეტყოდა ყველაფერს, რაც ასე ახარებდა და აღელვებდა. მაგრამ მას არავინ არ აჩერებდა, არც ის უყვირდათ, თუ ასე გვიან საიდან მოდიოდა. სოფელ იოთში ყველამ იცის, რომ ვაჟა ზანგურაშვილი რიყრაყიდან დაღამებამდე კოლმეურნეობის ბაღ-ვენახებში, მინდვრებსა და ფერმაში ჯრასავით ტრიალებს, ან კანტორაში თავის საქმეებს ჩაჯარიტებს, და ამა ვის გაუკვირდებოდა ასე გვიან მისი დანახვა.

შინ შევიდა. დედა საკერავს მისჯდომოდა, უფროსი ძმა კი ტახტზე მიწოლილიყო და წიგნს კითხულობდა. გურამმა წიგნი გვერდზე გადადო, წამოდგა და ვაჟას ჰკითხა:

— თქვი, ბიჭო, რა ამბავი იყო კრებაზე?

— აგროქიმიის შემსწავლელი წრის ხელმძღვანელად დამნიშნეს.

— ო, ეს კარგია. ამა შენ იცი, როგორ შეასრულებ პირველ დავალებას. მთავარია საქმეს სერიოზულად მოეკიდო, დაუძლეველი არაფერია. ისე კი, ინსტრუქტაჟისათვის მეც გამოგადგები.

და უფროსმა ძმამ სიყვარულით მოხვია მხარზე ხელი. გურამი მასწავლებელია, საშუალო სკოლაში მუშაობს, საუკეთესო პედაგოგია და რაიონის აქტივისტი.

ვაჟა მეორე დღეს დილაადრიან ლენინგორში წავიდა. პარტიის რაიკომში იყო დაბარებული. თათბირის შემდეგ რაიკომის მუშამა ლ. ასავეამ რჩევა-დარიგება მისცა, დაუსახელა ლიტერატურა და რამდენიმე ბროშურაც თან გაატანა. ვაჟას აღარ დაუყოვნებია. არც გამვლელ მანქანას მოუცადა. სამი კილომეტრის გულისთვის დრო არ დაკარგა.

პირდაპირ კოლმეურნეობის ბიბლიოთეკაში მივიდა. მონახა საჭირო წიგნები და გადათვალიერა.

— რა არის აქ მთავარი? — ერთი საათის შემდეგ გულმოდგინედ დაფიქრდა ვაჟა და დახედა სუფთა რვეულს. რაც უნდა აიღო, ყველა ძირითადია, ერთ სიტყვასაც ვერ ამოაგდებ. შეიძლება თანმიმდევრობით პირდაპირ წიგნიდან წაიკითხო. მაგრამ რა საუბარი იქნება მაშინ?! გაახსენდა ალ. ზაქაროშვილი, დაწყებითი ეკონომიკის შემსწავლელ წრეს რომ ხელმძღვანელობდა შარშან. მეცადინეობაზე ყოველთვის უცნაურად, რაღაც თავისებურად ლაპარაკობდა, ყველაფერი გასაგები და საინტერესო იყო.

გადაწყვიტა გულდასმით წაეკითხა ყოველი დასამუშავებელი თემა, წინასწარ შეედგინა სამუშაო გეგმები, რომ მეცადინეობა უფრო შინაარსიანი და ხალისიანი ყოფილიყო.

შეიკვნო აღრიცხვის ჟურნალი. 22 გვარი ჩამწკრივდა გრაფებში. სუფთა ფურცელი ამოიღო. ბოლოს ერთ-ერთ ადამიანებ ყოველ წლის 5 სექტემბერს იკრიბებიან თავიანთი ძვირფასი მხედართმთავრის გენერალ-პოლკოვნიკ კ. ლესელიძის ძეგლთან და მეხსიერებაში კვლავ აღადგენენ წარსული გმირული ბრძოლების ეპიზოდებს.

და აი ახლაც ყვავილებით შემკობილ ძეგლთან სხვადან ლეგენდარული მარუხის ბრძოლების გმირები — თადარიგის გენერალ-მაიორი ვ. ზარელუა, 808-ე პოლკის მეთაური შ. თელია, მე-3 ბატალიონის მეთაური ვ. რუხაძე, მე-8 ასეულის მეთაური ნ. სხირტლაძე, ზემდეგი ა. ქურციკიძე, ოცეულის მეთაური შ. ზაუტაშვილი, ლეიტენანტი გრ. ბარამიძე, ასეულის პოლიტხელი გრ. ლომიძე, ასეულის მეთაური ა. ვართანიანი, სანიტარული ნაწილის მეთაური ექიმი გ. მაჩიტაძე, ლეიტენანტი კ. სვინტრიძე.

მარუხის ბრძოლებში დაღუპულ მეომართა ოჯახების წევრების მოწვევაც არ დავიწყებიათ შეხვედრის ორგანიზატორებს. ბევრი მათგანი ახლა იგებს ძვირფასი ადამიანის სიცოცხლის უკანასკნელ დღეების ამბავს. რა ვუყოთ, რომ მათი დაღუპვიდან 20 წელზე მეტი ხანი გავიდა, საყვარელი ადამიანის ხსოვნას ხომ დრო ვერ ამოგლეჯს გულიდან.

არც მათი მებრძოლი ამხანაგები დაივიწყებენ ბრძოლაში მამაცურად დაღუპულ. დიმიტრი ტატიშვილს, მამია მაღლაკელიძეს, ტარიელ მაჭავარიანს, პაპლე ასათიანს, პეტრე ძუწოვსა და სხვა ასობით დახოცილ მეომრებს, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე შესწირეს კავკასიის დაცვას და ჩვენს მიწაწყალზე ფეხი არ შემოადგმევინეს ფაშისტთა ურდოებს. აქ მოსულან დაღუპულ მეომართა ოჯახების წევრები, — მეუღლეები, დები, შვილები, შვილიშვილები, მახლობლები.

დღის 1 საათია. ალისფერყელსახვევიანი გოგონები და ბიჭები, ქალაქის სკოლების მოსწავლეები გულთბილად მიესალმებიან სამამულო ომის სახელოვან ვეტერანებს.

მარუხის გმირებთან შეხვედრისადმი მიძღვნილ მიტინგს ხსნის საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ი. გამრეკელი. იგი საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის საბატო სიგელებსა და სამამულო ომის ვეტერანის მედლებს გადასცემს მარუხის ბრძოლების მონაწილეთ.

დამსწრეთ სამამულო ომის ბრძოლების ეპიზოდები უამბეს ვ. რუხაძემ, გ. ლომიძემ. შემდეგ კი ამ დღეთა მოსაგონებლად ყოფილმა მებრძოლებმა და გმირულად დაღუპულთა ოჯახების წევრებმა სამახსოვრო სურათი გადაიღეს.



ARGBETHIS მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ყურძნის კარგი მოსავალია. აქ პირველად შეუდგნენ შამპანური ღვინოებისათვის საადრეო ჯიშის ყურძნის კრეფას. ვენახებში გამოიცოცხლება იგრძნობა, მკრეფავები თავს დასტრიალებენ თვითეულ ძირ ვაზს და კრეფენ საადრეო ჯიშის ყურძენს. კრეფის პირველ დღეებში სახელი გაითქვა საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლემ ლ. **გაფრინდაშვილმა**. იგი ყურძნის კრეფის დღიურ ნორმას ორმაგად ასრულებს.

სამტრესტის ღვინის ქარხნებმა ამ დღეებში მიიღეს საადრეო ჯიშის ყურძნის პირველი პარტია და უკვე გადაამუშავეს 200 ტონაზე მეტი ყურძენი. ამ **სურათზე** თქვენ ხედავთ მე-11 კლასის მოსწავლეს ლ. **გაფრინდაშვილს** საადრეო ჯიშის ყურძნის კრეფის მომენტში.

ფოტო ა. მაჭავარიანისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

პირველი დავალება

მარუხის გმირებთან

ეს შეხვედრა უკვე ტრადიციად იქცა. ბრძოლაში ნაწრთობი, აწ უკვე გაჭაღარავებული ადამიანები ყოველ წლის 5 სექტემბერს იკრიბებიან თავიანთი ძვირფასი მხედართმთავრის გენერალ-პოლკოვნიკ კ. ლესელიძის ძეგლთან და მეხსიერებაში კვლავ აღადგენენ წარსული გმირული ბრძოლების ეპიზოდებს.

ეს შეხვედრა ... ტაციად იქცა. ... ბრძოლ... ... ...

პირველი სპექტაკლის წინ

დღეს მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი ახალ სეზონს იწყებს.

როგორ დამთავრდა გასული თეატრალური სეზონი? როგორ ხვდება თეატრის კოლექტივი ახალ სეზონს? რას გვპირდება ახალს? როგორი იქნება რეპერტუარი? ეს და თეატრის შემოქმედებით ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვა კითხვები დაუსვა გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა თეატრის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს გ. ლორთქიფანიძეს.

— გასული თეატრალური სეზონი, — განაცხადა მან, — გარკვეული წარმატებებით დავამთავრეთ. ამის ნათელი დადასტურება იყო ჩვენი გასტროლები ქუთაისსა და ბათუმში. თეატრის კოლექტივი კმაყოფილია იმით, რომ ორივე ქალაქის მაყურებელმა ცხოველი ინტერესი და გულითადობა გამოიჩინა ჩვენს სპექტაკლებისადმი. გასტროლების პერიოდში მაყურებლებთან სიახლოვე და მათი ინტერესებისა და სურვილების უკეთ შესწავლა ახალი წარმატებების ერთ-ერთი საწინდარი იქნება.

დღეს ჩვენ მაყურებელს ვუჩვენებთ პ. კაკაბაძის **„ცხაბერის ხმალს“**. ამ სპექტაკლით სეზონს, რომ ვთქვინთ, ამას თავისი გამართლება აქვს. ამ დადგმას ხვდა წილად გასულ სეზონში ყველაზე დიდი წარმატება.

ახალ სეზონში შემოქმედებითი კოლექტივი გააგრძელებს შექსპირის **„ჰამლეტზე“** მუშაობას. ვფიქრობთ, ეს სპექტაკლი მაყურებელს წარვიდგენთ მიმდინარე წლის ბოლოსათვის.

თეატრის სამხატვრო საბჭომ, რომელმაც იმსჯელა ახალ რეპერტუარზე, განსაკუთრებით გამამხვილა ყურადღება ეროვნულ დრამატურგიაზე. სწორედ ამიტომ ხრის, რომ ჩვენი ერთ-ერთი პირველი პრემიერა პ. კაკაბაძის **„ცხოვრების ჯარა“** უნდა იყოს. ამ სპექტაკლის დადგმაზე ჩემთან ერთად მუშაობს ა.ა. კვანტალიანი. ახალგაზრდა რეჟისორი მ. კუკუხიძე მუშაობს გ. ხუხაშვილის პიესაზე **„მთაწმინდის მთვარე“**, რომელიც ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრებაზეა აგებული.

ახალ სეზონში გათვალისწინებულია ვ. ქანდელაკის „ოქროს საწმისის“ განხორციელება (რეჟისორი ი. ქაქოლია.) გადაწყვეტილი გვაქვს, ავრეთვე ოთარ მამფორიას **„ტაგუს“** დადგმა. ახალი ვარიანტით, რომელზეც ავტორი ი. ქაქოლიასთან ერთად მუშაობს.

რეპერტუარში შეტანილი გვაქვს ი. ვაკელის **„პრაკუნე ბიშვიმელი“**, როსტანის **„სირანო დე ბერჟერაკი“**, ალ. სამსონიას და ა. აბშილავას ახალი პიესები.

ცხადია, ახალ სეზონში კვლავ წარმოდგენილი იქნება გასული წლის საუკეთესო სპექტაკლები: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“, „ვისია, ვისია?!“, „დედა“, „მკვდრის მზე“ და სხვ.

როგორც ხედავთ, ახალი თეატრალური სეზონი მეტად რთული და პასუხსაგებია. თეატრის კოლექტივს შენგუბული აქვს, თუ რა დიდ ამოცანებს აკისრებს მას ორი დიდი თარიღისათვის — ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადება. სეზონზეა მუშაობა მოგვილის ახალ სეზონში ჩვენი ეროვნული დღესასწაულის — შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად.



ᲛᲐᲓᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ

თბილისის ქუჩებში როგორ რუსული დრამის თეატრის აფიშების გამოჩენამ სიხარული განმაცდევინა. მე ვიცოდ ამ სახელოვან თეატრს, რომლის რეალისტური პოზიცია, მაღალმხატვრული გემოვნება, სამსახიობო ოსტატობა საყოველთაოდ არის ცნობილი. როგორი იქნება სტუმრების პირველი შეხვედრა თბილისელ მაყურებელთან? ეს კითხვა კანონიერია ახლა, როდესაც ჩვენი თეატრების შემოქმედებითმა ძიებამ და ექსპერიმენტულმა მოღვაწეობამ თავისი დადებითი და უარყოფითი შედეგები თვალნათლივ დაგვანახვა. როგორი იქნება ჩვენი მეგობრების ხელოვნება? რა პოზიცია უჭირავს თეატრს? ეძებს თუ არა იგი ახალს ძველი ტრადიციების მთლიანი დაფიწყებით თუ, პირიქით, კონსერვატიული ჩაკეტილობა და ტრადიცია წინსულის მუხრუჭებად მოევლინა? იქნებ ძველმა და ახალმა სასურველი სინთეზი მოგვცა და თეატრალური ხელოვნების წინსვლის აუცილებელი პირობა შექმნა. კიდევ მრავალი ფიქრი და აზრი მქონდა, როცა ამ თეატრის პრემიერაზე მივიჭარეოდი. მოკლედ უნდა ვთქვა, თეატრის კოლექტივმა გამახარა. გამახარა იმდენად, რომ გადაწყვიტე გამეზიარებინა ჩემი შთაბეჭდილება.

დ. პავლოვას რომანის მიხედვით ვ. ტოკარევის მიერ ინსცენირებული პიესა „სინდისი“ დაიწყო რიგელთა გასტროლები. სპექტაკლი ძალიან თამამად ამხილებს ჩვენი ცხოვრების ჩრდილოვან მხარეებს, ნაკლოვანებებს. სპექტაკლში მძაფრი ბრძოლაა კეთილსა და ბოროტს შორის. კარიერისტებისა და მლიქვნელების ჯგუფს ებრძვიან კეთილი და სინდისიერი მოქალაქეები. სცენაზე დრამატული კონფლიქტია, რომლის გამოც ძალიან ძნელია სულიერი წონასწორობის შენარჩუნება. მიუხედავად ამისა, რწმენა ადამიანის ძლიერებისა, სიმართლის საბოლოო გამარჯვებისა თან სდევს პიესას. რასაკვირველია, პიესაში არის სქემატური ადგილებიც, რომლებიც თეატრის დასს წარმატებით დაუძლევია და დამაჯერებელი ელფერი მიუცია. სპექტაკლის წარმატებას ხელს უწყობს რეჟისორ ი. იატკოვსკის მიერ მთავარი აქცენტის საუცხოო მიგნება. წინ წამოწეულია იდეა ბოროტის მხილებისა. კარგად არის გახსნილი გმირთა ხასიათები.

ძნელია სათქმელად, თუ რომელი მსახიობია უკეთესი, მაგრამ შეუძლებელია სპექტაკლიდან წამოსვლა ისე, რომ მარტინანოვის სახე არ დაგამახსოვრდეთ. მსახიობ ა. მიხაილოვის განსაცვიფრებელი დამაჯერებლობა, ტაქტისა და ზომიერების გრძნობა, ბუნებრივობა და... თვალები. დიახ, თვალები, მეტყველი, ბავშვური, ძლიერი, კეთილი... მას ეხვდებით სულ სხვადასხვა გარემოცვაში, სხვადასხვა მდგომარეობაში. სამსახურში, შინ, ქუჩაში, მეგობრებში. მას ვხედებით გახარებულს, შეშფოთებულს, დამარცხებულს, დედის როლში და თვით ნატაშას როლის შემსრულებელი რ. პრაუდინა. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ ა. აუგშკაპი, ბ. ტიხოვი, ვ. იაკოვლევი, ე. სოლდატოვა. ამ მსახიობების ოსტატობაზე შეიძლება ცალცალკე და საკმაოდ ვრცლად ითქვას. ერთი კი ცხადია: ისინი ამ სპექტაკლის გამარჯვების უდავო თანაავტორები არიან.

რა შეიძლება ითქვას მოლიანად სპექტაკლის შესახებ? ყოველი გმირის სახე სრულყოფილად, დასრულებულად არის წარმოდგენილი. შეიძლება ოდნავი პრეტენზია წარვუდგინოთ მხატვარს. თეატრალური ხელოვნება, რა თქმა უნდა, პირობითია, მაგრამ თვით ეს პირობითობა რეალურის შთაბეჭდილებას უნდა ქმნიდეს.

მინდა აუცილებლად აღვნიშნო ერთი სასიამოვნო გარემოება. სცენაზე მსახიობ ებს ხშვადასხვა თამბა ხვდება ერთმანეთს. ეს კი თეატრის ძალასა და ღონეს ნიშნავს. ჩვენი სტუმრები სათუთად ეპყრობიან დიდი ქართველი რეჟისორის, ახალი ქართული თეატრის ფუძემდებლის კოტე მარჯანიშვილის სახელს, კოტეს მადლიანი ნიჭი რიგის თეატრსაც გასუნდია. იქ დიდმა ქართველმა რეჟისორმა გორკის „მთაგარაკენი“ დადგა, და თეატრის შენობაში დღესაც დაცულია მემორიალი კოტე მარჯანიშვილის სახელის უკვდავსაყოფად.

ვუსურვებ ჩვენს შეგობრებს, სასურველ სტუმრებს—რიგის რუსული დრამის თეატრს ახალ გამარჯვებებს.

დოდო ანთაძე.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

სურათზე: სცენა სპექტაკლ „სინდისის“ მეორე მოქმედებიდან. მარტინანოვი — მსახიობი ა. მიხაილოვი, ნატაშა — რ. პრაუდინა.

ფოტო ა. ვაჩიანისა.

ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡ ᲮᲝᲛᲑᲐᲨᲘ.

ფოტო ს. კილაძისა.

ᲠᲘᲒᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲔᲑᲘ

დღეს დილით გრიბოედოვის სახელობის თეატრის შენობაში რიგის რუსული დრამის თეატრი წარმოადგენს ე. შვარცის „წითელქუდას“ (დადგმა ი. სეკირინისა, მხატვრობა ე. კოზლოვისა).

საღამოს ნაჩვენები იქნება ახალგაზრდა ჩეხი დრამატურგის ვ. შუბრტის პიესა **„ᲡᲐᲐᲗᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲨᲣᲐᲦᲐᲛᲔᲛᲓᲔ“**. სპექტაკლის დადგმა ლ. ბელიავსკის ეკუთვნის, მხატვრობა მ. აბოლინს.

ხვალ ჩვენი სტუმრები წარმოადგენენ ა. ანდრეევის პიესას **„ᲒᲐᲜᲒᲘᲡᲐᲯᲔᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ“**. სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის უდმურტეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ა. კაცს, მხატვრობა — ტ. შვეცს, მუსიკალური გაფორმება — ო. ბარსკოვს.



ᲓᲦᲔᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲔᲑᲘᲐ

ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲰᲘᲓᲐᲠᲑᲐᲨᲘ

დამარცხდა ნ. ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ და გავიდა შეჯიბრების მწყობრიდან. ნ. ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ სამი წრის შემდეგ 4 საჯარიმო ქულა აქვს.

ქვესაშუალო წონაში ფავორიტად თვლიან მსოფლიოს ჩემპიონს ბ. ᲡᲐᲚᲐᲠᲐᲫᲔ.

ქვემძიმე წონაში შ. ᲚᲝᲛᲘᲫᲔᲛ მორიგი წარმატებას მიაღწია. მან აშკარა უპირატესობით მოუგო კიეველ ნ. ᲛᲣᲮᲐᲜᲝᲕᲘᲡ. Გ. ᲒᲖᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ქულებით დაამარცხა ტ. ᲛᲐᲚᲔᲦᲐᲠᲘ (ტალინი) და ოთხი საჯარიმო ქულა აქვს. ასევე ქულებით გაიმარჯვა ნ. ᲐᲜᲗᲘᲫᲔᲛ ალმაატელ ა. ᲐᲘᲑᲐᲜᲝᲕᲘᲗᲐᲜ.

გუშინ საღამოს გაიმართა მორიგი წრის შეხვედრები.

თბილისის სპორტის სასახლე კვლავ დიდი სპორტული პაექრობის არენა გახდა. აქ ორი დღეა მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში ოთხი წონითი კატეგორიის მიხედვით.

ჩემპიონატის მონაწილეთა უმრავლესობამ დაამთავრა ოთხი წრე, იწყება გადამწყვეტი შეხვედრები, დღეს გამოვლინდება ახალი ჩემპიონები, პრიზიორები.

გუშინ დღის პირველ ნახევარში გაიმართა მორიგი წრის შეხვედრები. უმჩატეს წონაში ტ. ᲐᲚᲘᲑᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ პაექრობა ჰქონდა ა. ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘᲡᲗᲐᲜ (ირკუტსკი). ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი იბრძოდა ინიციატივიანად და 9 წუთსა და 40 წამში წმინდა გამარჯვება მოიპოვა. სამი წრის შემდეგ ტ. ᲐᲚᲘᲑᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ 4 საჯარიმო ქულა აქვს.

ქვემსუბუქ წონაში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისელები Გ. ᲣᲤᲐᲠᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ და ს. ᲫᲐᲠᲡᲐᲣᲚᲘᲫᲔ. აქ წმინდა გამარჯვება 2 წუთსა და 40 წამში მოიპოვა ს. ᲫᲐᲠᲡᲐᲣᲚᲘᲫᲔᲡ. Გ. ᲣᲤᲐᲠᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ გამოეთიშა პირველობისათვის მებრძოლთა რიგებს, ს. ᲫᲐᲠᲡᲐᲣᲚᲘᲫᲔ კი ინარჩუნებს საპრიზო ადგილების მოპოვების შანსებს. ამავე წონის კატეგორიაში თ. ᲮᲝᲠᲐᲕᲐ მე-10 წუთზე ქვემძიმე წონაში შ. ᲚᲝᲛᲘᲫᲔᲛ მორიგ წარმატებას მიაღწია. მან აშკარა უპირატესობით მოუგო კიეველ ნ. ᲛᲣᲮᲐᲜᲝᲕᲘᲡ. Გ. ᲒᲖᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ქულებით დაამარცხა ტ. ᲛᲐᲚᲔᲦᲐᲠᲘ (ტალინი) და ოთხი საჯარიმო ქულა აქვს. ასევე ქულებით გაიმარჯვა ნ. ᲐᲜᲗᲘᲫᲔᲛ ალმაატელ ა. ᲐᲘᲑᲐᲜᲝᲕᲘᲗᲐᲜ.

გუშინ საღამოს გაიმართა მორიგი წრის შეხვედრები.

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲙᲝᲙᲘᲡᲞᲘᲠᲣᲚ ᲜᲕᲘᲛᲔᲑᲨᲘ

პირველად იხილეს მოსკოველებმა იუგოსლავიის ნაკრები, პირველად ხახეს მაყურებლებმა ტელევიზიის ეკრანზე ჩვენი სტუმრები. მაგრამ ეს ამას როდი ნიშნავს, რომ იუგოსლავმა და საბჭოთა ფეხბურთელებმა მოსკოვში გაიმეს ერთმანეთი და აქ მოსინჯეს ძალები. ეროვ ეს მათი მეშვიდე შეხვედრა იყო. იდრინდელ ექვს პაექრობაში აქტიური ბალანსი ჩვენს ფეხბურთელებს ჰქონდათ — სამი გამარჯვება, ორი ფრე და ერთხელ ერთი წარუმატებლობა.

მთავარი, რაც ამ მატჩებს წითელ ზოლად გასდევდა — 1952 წელს ჰელსინკში, 1956 წელს მელბურნში, 1960 წელს პარიზში და სხვ., იყო მეტად ლამაზი, კორექტული, მაღალტექნიკური და ტემპიანი თამაში.

და აი ადრინდელი მატჩების ეს დამახასიათებელი თვისებები გუშინდელ თამაშშიც იგრძნობოდა. ბუნებრივია, შეჯიბრება გაცილებით უფრო შინაარსიანი და ეფექტური იქნებოდა, რომ ამინდს არ შეეშალა ხელი. კოკისპირულად წვიმდა, ბურთი დამძიმდა, მოედანზე გუბეები იდგა, ჭექა-ქუხილი მიაცილებდა მატჩს.

ასეთ პირობებშიც კი მეტოქეებმა გვიჩვენეს შეუპოვარი ბრძოლა, სწრაფვა გამარჯვებისაკენ.

სტუმართა ბრძოლიდან თვალში გვხვდებოდა გადაცემათა სიხუსტე, მოედნის კარგი ხედვა, ურთიერთდახმარება და რაც მთავარია ჩინებული ტემპი, გამძლეობა. პირველი ტაიმის რამდენიმე საგოლო მომენტიდან უნდა გამოვყოთ ერთი, რომლის მოწმენი ვიყავით, 23-ე წუთზე. იუგოსლავთა ყველაზე საშიში ფორვარდი — მარკოვიჩი გარემარბი სკოლარი ელვისებური სისწრაფით შეიჭრა საჯარიმო მოედანზე და პირისპირ აღმოჩნდა იაშინთან. აქ გოლი თითქოს გარდუვალი იყო, დარტყმაც ზუსტი და ძლიერი, მაგრამ იაშინის გამოცდილებამ და დროულმა ნახტომმა იხსნა ჩვენი ნაკრები.

მეორე ნახევარში ბრძოლა მეტი სიმშვიდით ხასიათდებოდა. განსაკუთრებით აქტიურობდა ნაკრების დიფენზატი ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელი კიტინაძე. სამი რეალური შესაძლებლობა ჰქონდათ ჩვენს თავდამსხმელებს და სამივე გამოუყენებელი დარჩა, ერთხელ კი სტუმართა მეკარემ ნამდვილი ვირტუოზობა გვიჩვენა, ზედიზედ ორჯერ იხსნა თავისი გუნდი დამარცხებისაგან.

ამრიგად, თამაში ისე დამთავრდა, რომ მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — 0:0.

ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ: — იაშინი, (კავაზაშვილი), აფონინი, შესტერნიოვი, მარუშკო, დანილოვი, ვორონინი, ფიოდოროვი (ᲙᲣᲢᲐᲗᲐᲫᲔ), მეტრეველი (ადამოვი), ᲑᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, შჩერბაკოვი (ᲙᲐᲖᲐᲮᲘᲐ), მესხი (ᲐᲡᲣᲡᲘᲜᲝᲕᲘ).



ᲛᲝᲢᲝᲒᲐᲓᲐᲠᲑᲔᲜᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-ᲑᲠᲔᲡᲢᲘ

გუშინ თბილისში, ლენინის მოედანზე სტარტი აიღო მოტოგადარბენამ, რომლის ფინიში ბრესტში იქნება. გადარბენა მოაწყეს საქართველოს ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა, დინამოფმა და რესპუბლიკურმა ტურისტულმა საბჭომ. გადარბენის მონაწილენი მოტოციკლეტით გაუდგნენ გრძელ გზას, რომლის დეკორია „მამათა გზა — გმირთა გზა“. მანამდე კი ისინი გამარჯვებული გამოვიდნენ რესპუბლიკურ ლაშქრობაში, რომელიც საბჭოთა ხალხის საბრძოლო დიდების გზებზე გაიიოდა.

ისინი გაიელიან იმ ქალაქებს, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომის ბრძოლებში ფრონტზე დღეებში გმირობისა და სიმამაცის წარუშლელი ფურცლები ჩაწერეს დიდი სამამულო ომის ისტორიაში. კომკავშირელთა მარშრუტი ასეთი იქნება: თბილისი-ქუთაისი-სოხუმი - სოჭი-ტუაფსე - ნოვოროსიისკი-ქერჩი - სევასტოპოლი - ჯანკოი-დხეპროპეტროვსკი - პოლტავა-ლუბნი-კიევი-გომელ იმოგილიოვი-მინსკი - ბარანოვიჩი-ბრესტი. იქ გმირ ციხე-ქალაქში 18 სექტემბერს გაიმართება საკავშირო შეკრება, რომელშიც სხვადასხვა რესპუბლიკებისა და ქალაქების ლაშქრობებში გამარჯვებულნი მიიღებენ მონაწილეობას.

საქართველოს მოტოგადარბენის ჯგუფში, რომელშიც თხუთმეტი მონაწილეა და რომლის კომანდორი მილიციის პოდპოლკოვნიკი ვ. ნაგოზაშვილია, სხვადასხვა სპეციალობის ადამიანები შედიან. აქ ნახავთ სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ინჟინერს ი. ლუკაშვილს, კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტს ე. გორგაძეს, ქუთაისის № 2 პროფტექნიკური სასწავლებლის ოსტატს რ. ტაბიძეს, ამავე სასწავლებლის მოწაფეს მ. სტეფოფას, თბილისის № 1 თამბაქოს ფაბრიკის მუშას გ. თავსაგაძეს, გორელ ნ. დვალს და სხვებს.

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ს. ხაბეიშვილმა სპორტსმენებს გზა მშვიდობისა უსურვა და კომანდორს ქართველი ახალგაზრდობის პატაკი გადასცა. მოტოგადარბენის მონაწილენი 4 ათას კილომეტრიან გზას დაადგნენ.

* * *

სურათზე: მოტოგადარბენის მონაწილენი ლენინის მოედანზე სტარტის წინ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲠᲘᲒᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲔᲑᲘ

ᲓᲦᲔᲡ დილით გრიბოედოვის სახელობის თეატრის შენობაში რიგის რუსული დრამის თეატრი წარმოადგენს ე. შვარცის „წითელქუდას“ (დადგმა ი. სეკირინისა, მხატვრობა ე. კოზლოვისა).

საღამოს ნაჩვენები იქნება ახალგაზრდა ჩეხი დრამატურგის ვ. შუბრტის პიესა **„ᲡᲐᲐᲗᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲨᲣᲐᲦᲐᲛᲔᲛᲓᲔ“**. სპექტაკლის დადგმა ლ. ბელიავსკის ეკუთვნის, მხატვრობა მ. აბოლინს.

ხვალ ჩვენი სტუმრები წარმოადგენენ ა. ანდრეევის პიესას **„ᲒᲐᲜᲒᲘᲡᲐᲯᲔᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ“**. სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის უდმურტეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ა. კაცს, მხატვრობა — ტ. შვეცს, მუსიკალური გაფორმება — ო. ბარსკოვს.

ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲖᲔ

ᲩᲕᲔᲜ დღეს გვინდა მოგეთხროთ ნანა ᲐᲚᲣᲫᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲖᲔ, ნორჩ ჩემპიონზე, რომელიც, უკვე კარგა ხანია საყოველთაო ყურადღებას იპყრობს.

იყო დრო, როცა ჭადრაკს ძირითადად ფრიად ხანდაზმული ხალხი თამაშობდა. ახლა ᲛᲘᲠᲜᲝᲕᲐᲡ, ᲨᲢᲘᲚᲜᲘᲙᲝᲕᲘᲡ, ᲡᲣᲠᲐᲕᲚᲘᲫᲘᲡ, ᲩᲘᲑᲠᲘᲜᲘᲡ დიდ წარმატებებს საკმაოდ სოლიდურ ასაკში მიაღწიეს. ეს თავისებური ტრადიცია არც შემდეგ წლებში დარღვეულა. ᲚᲘᲡᲘᲪᲘᲜᲘᲡ და ᲙᲐᲠᲞᲝᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ადრეული ტიტულები კი ისეთი გამონაკლისი იყო, რომელიც ᲩᲔᲡᲘ უფრო ამტკიცებს და ადასტურებს.

ახლა უკვე თამამად შეიძლება ლაპარაკი ამ ტრადიციის რღვევაზე. გავიხსენოთ, რა ასაკში გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები ნონა ᲒᲐᲒᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ და ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲢᲐᲚᲘ! გავიხსენოთ, რომ სექტემბერში ნონას უნდა შეხვდეს მასზე რამდენადმე უმცროსი ᲐᲚᲐ ᲙᲣᲨᲜᲘᲠᲘ, რომ ᲒᲘᲠᲘᲜᲘᲡ ᲰᲔᲚᲔᲠᲛᲘᲡᲐᲜᲘᲡ, მეტოქე გაისად იქნება ერთ-ერთი ახალგაზრდა გროსმაისტერი. ერთი რამ უდავოა — ჭადრაკში მოვიდა ახალი თაობა, რომელმაც ეს უძველესი თამაში კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე უნდა აიყვანოს. ეს არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ᲭᲐᲠᲗᲨᲚᲘᲡᲐ და ᲨᲔᲢᲪᲕᲘᲡ“ პერიოდი ჭადრაკში, და ამ თაობის ერთ-ერთი უნიჭიერესი წარმომადგენელი უდავოდ ნანა ალექსანდრიაა.

ჩვენი მკითხველები ნანას „გამოეთხოვნენ“ გასული წლის დეკემბერში, როდესაც მან საკავშირო ჩემპიონატში პირველად მონაწილეობისას ბრწყინვალე წარმატება იზეიმა — ერთ-ერთი საპრიზო ადგილი დაიკავა. ეს ისეთი შედეგი იყო, რომელზეც უკიდურესი ოპტიმისტებიც კი ვერ იოცნებებდნენ. 8 ტურა 10 ტურის შემდეგ — პირველი-მეორე ადგილი ნონა გაფრინდაშვილთან ერთად! დ, რა თქმა უნდა, არავის გაკკვირვებია, როდესაც შეჯიბრების მეორე ნახევარში მეტად დაქანცულმა გოგონამ რამდენიმე პარტია წააგო. ნანა ვისმეს დაავიწყდება ის თავისებური ჯილდოებიც, რომლებიც ნანამ მიიღო: წითელოყვითლებანი თოჯინა და პრიზი ენციშპილში საუკეთესო თამაშისათვის თვით ლარისა ვოლკერტთან.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ადრინდელი, თუნდაც მნიშვნელოვანი წარმატებების ხარჯზე „ცხოვრება ძნელია“. ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფრიად „საეჭვო კაპიტალია“. და ნანა თავის მწვრთნელ ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲐ ᲙᲐᲠᲚᲔᲚᲐᲫᲘᲡᲗᲐᲜ ერთად შეუდგა ადრინდელი პარტიების ღრმად შესწავლას, ახალი ბრძოლებისათვის მზადებას.

ამას წინათ ბორჯომში ქალთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მსვლელობისას ლაპარაკი ჩამოვაგდა გაფრინდაშვილ-კუშნირის მობაკავალ მატჩზე. საყოველთაო აზრით, ნონას გარკვეული წინასწარი უპირატესობა ენიჭება. კუშნირისაგან ფრიად ხერხიული წინააღმდეგობა მოსალოდნელი, — ვეთხარი ნანას, — ან ავიღოთ თუნდაც მის მიერ მშვენივრად მოგებული პარტია უმცროს რუბაცოვასთან.

„რუბაცოვს საერთოდ უჭირს პირველხარისხოვან ოსტატებთან თამაში, ჩემთან კი უფრო ეადვილება ბრძოლა“, — ასე მოულოდნელი იყო „საქართველოს ჩემპიონის“ პასუხი. ამ პასუხმა მით უფრო გაგაოცა, რომ ნანაც არაერთხელ საუცხოოდ მოუგია რუბაცოვასათვის, მაგრამ მას სუფს პარტიების ხარისხი კიდევ უფრო მაღალი იყოს. ᲩᲔᲛᲘᲡᲐᲠᲘᲪᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ თვითრიტიკული დამოკიდებულებაა საკუთარი თამაშისადმი! ნანას ახლოვს ადრინდელი წაგებანი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათი რიცხვი თანდათან შემცირდება. „ერთი დამარცხებისაგან უფრო მეტ გაკვეთილს მიიღებ, ვიდრე მრავალი გამარჯვებისაგან,“ — ამბობდა გენიალური კაპაბლანკა.

პირველი ადგილის დაკავება ყოველგვარ შეჯიბრებაში ფრიად ძნელი ამბავია. საპიროა არა მარტო მეტოქეებზე უკეთესად თამაში, არამედ გარკვეული „იღბალიც“. მაგრამ საქართველოს წლევანდელ ჩემპიონატში ნანამ პირველი ადგილი ისე დაიკავა, რომ აქ „იღბალი“ არაფერ შუაში ყოფილა. იგი ისეთი ენერგიით და თანმიმდევრობით იბრძოდა ყველა პარტიაში, რომ მეტოქეებს „იმედაც არ უტოვებდა“. ჩვენ არ გვახსოვს სხვა ისეთი შეჯიბრება, რომელიც ბორჯომის ასპარეზობას ჰგავდეს. ალექსანდრია და ჩაიკოვსკაია იგივნდნენ ყველა შეხვედრას და შორს ჩამოიტოვეს ყველა მეტოქე. ეს საჭადრაკო ტურნირს კი ალარ ჰგავდა, არამედ „მრავალმოსახვევიან ვიოლორბოლას“, სადაც ხანგრძლივი ეტაპების შემდეგ მხოლოდ ორი პრეტენდენტი უდგება ხოლმი ერთმანეთს კალაში. გავიხსენოთ, რომ შარშანაც სწორედ ამ მოჭადრაკეებმა კაიყვნის პირველი-მეორე ადგილები ასეთსავე შეჯიბრებაში და ორივეს მიენიჭა ჩემპიონობა. წელს კი ნანამ ვასსწრო თავის მეტოქეს. და მისი მორიგი გამარჯვება უდავოდ დამსახურებულია.

შარშან საკავშირო საჭადრაკო ფედერაციამ ნაადრევად ჩათვალა 15 წლის ნანასათვის ოსტატის წოდების მინიჭება. საქართველოს ჩემპიონს არც ახლა შესრულებია 16 წელი. იმას კი არა აქვს დიდი მნიშვნელობა, ფორმალურად როდის მიიღებს ოსტატს წოდებას. აქ თავვარი ის არის, რომ ნანა სულ უფრო და უფრო ხვეწავს საკუთარ ოსტატობას: ეს კი მომავალ წარმატებათა უეჭველი საწინდარია. სექტემბერში ნ. ალექსანდრია მოსაწვლეობას მიიღებს საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ტალი ამას წინათ ბელგრადს „სპორტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავდა, რომ მოჭადრაკე თვალსაჩინო წარმატებებს ვერ მიაღწევს, თუ ზოგადი კულტურა არა აქვს. ნანას ფიდი იმედები რომ შეგყურებთ მხიდველობაში გვაქვს არა მარტო მისი ბრწყინვალე საჭადრაკო ნიჭი, არამედ კულტურული დონეც.

ნანა, რომელიც გონიად საშუალო სკოლას ამთავრებს, მრავალმხრივი ინტერესების მქონე გოგონაა. სოხუმის საერთაშორისო ტურნირის დროს მან პირდაპირ მოხიბლა გამოჩენილი გერმანელი ოსტატი ედიტ კეელერ-გერმანი. „უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა, როდესაც ქართველი გოგონა (თუნდაც ასეთი ასაკში!) საუცხოოდ თამაშობს ჭადრაკს. მე ხომ ბევრი რამ მსმენია თქვენს საჭადრაკო ტრადიციებზე. მაგრამ სადან იცნობს ასე კარგად ნანა გერმანულ ლიტერატურას!“ ლიტერატურა, მუსიკა, ინგლისური ენა, სპორტი — ყოველივე ეს საქართველოს ნორჩი ჩემპიონის ინტერესების სფეროში შედის.

მაშ ასე, სექტემბერში ნონა და ნანა მორიგ შეჯიბრებაში ჩაებმებიან. მართალია, ეს სრულიად სხვადასხვა რანგისა და დონის შეჯიბრებებია. ნონა მსოფლიოს ჩემპიონობას იცავს, ნანა საკავშირო ჩემპიონატის ფინალიასკენ მიიკვლევს გზას. ძალების ოჯალურ შეფარდებას თუ კარგად ავწონ-დავწონით, ნონამ უნდა შეინარჩუნოს მსოფლიოს ჩემპიონობა. ხოლო სამი წლის შემდეგ როდესაც მას ერთხელ კიდევ მოუხდება თავისი წოდების დაცვა, ნონას შესაძლო მეტოქეებს შორის შეიძლება ნანაც იყოს.

გ. ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.



ᲝᲗᲮ